საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 225

ოთხშაბათი, ივნისის 21-ს

1922 წ.

ჰააგის თათბირი

გენუის კონფერენციამ მუშაობა ვერ დაასრულა, ისე შეწყდა. მიზეზი ბევრი იყო. გარეგნულად თითქოს პრინციპიალი სხვა და სხვაობა იყო მთავარი მიზეზი შეუთანხმებლობისა. ამაზედ იყო ლაპარაკი მემორანდუმებში და ოფიციალ სხდომებზედ. თითქოს ეს ასედაც უნდა ყოფილიყო: ორი სხვა და სხვა სისტემა ეკონომიური ურთიერთობისა—კერძო-კაპიტალისტური და სახელმწიფოებრივ კაპიტალისტური—თითქოს შეურიგებელი და შეუთანხმებელი რამ იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის. და ეს ცხადია იქიდანაც, რომ კაპიტალისტური გერმანია უკვე შეუთანხმდა საბჭოთა რუსეთს, შეუთანხმდენ სხვა პატარა სახელმწიფოებიც და თვით ლოიდ ჯორჯიც აუცილებელ საჭიროებათ სთვლის რუსეთთან შეთანხმებას.

ცხადია, რომ ძველ კაპიტალისტურ სისტემასა და რუსულ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს შორის შესაძლებელი ყოფილა საქმიანი ურთი ერთობა, თუ კი მოისურვებენ. საფრანგეთი მოითხოვდა რუსეთისაგან კერძო კაპიტალისტური სისტემის რესტავრაციას. რასაკვირველია საფრანგეთს თავისი ინტერესები აქვს და შესაფერი მოსაზრებით ხელმძღვანელობს, მაგრამ ვისაც ძველი ინტერესი არა აქვს, ის ვერც პრინციპიალ განსხვავებას მოიმიზეზებს და შეთანხმებას მოახერხებს. გენუაში ეს არ მოხერხდა. და ამის მიზეზი იყო ის, რომ ორივე მხარე მოუმზადებელი შეხვდა გენუის კონფერენციას. ევროპაში საზოგადოებრივი აზრი არ იყო დამუშავებული რუსეთის საცნობად სხვას რომ თავი დავანებით, ესეც გარდაუვალი დაბრკოლებაა ყოველი პარლამენტარული მთავრობისათვის.

რუსეთმაც ვერ მოასწრო წამომდგარიყო ევროპის სახელმწიფოთა წინაშე უკვე ჩამოყალიბებულ უფლებრივ სახელმწიფოდ. მას არ ჰქონდა არც სამოქალაქო, არც სისხლის სამართლის კანონები და არც სათანადო სასამართლო, როგორც გარანტია ასეთ უფლებრივ ურთიერთობათა. რუსეთს ჰქონდა რევოლუციური კანონმდებლობა და სასამართლო, რომელიც ემყარებოდა რევოლუციონურ და სოციალისტურ შეგნებაზედ, მაგრამ ეს იყო გამოსადეგი და აუცილებელი რევოლუციური პერიოდისათვის და არა ისეთი სახელმწიფოსათვის, რომელიც უკვე აღმშენებლობას შეუდგა და შეთანხმებას აპირებს ბურჟუაზიულ ქვეყნებთან..

ყოველივე ამან გამოიწვია გენუის კონფერენციის შეწყვეტა და ექსპერტთა თათბირის დანიშვნა ჰააგაში, საკითხების უფრო შესასწავლად და გასარკვევად. ამასობაში რუსეთმა უკვე მიიღო და ცხოვრებაში გაატარებს სულ მალე დროში სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებს, რის შემდეგაც საბჭოთა რუსეთთან ბურჟუაზიულ ქვეყნებს ძლიერ გაუადვილდებათ შეთანხმება და ხელშეკრულებათა დადება.

ამ რიგათ ჰააგის თათბირის დანიშნულებაა მოამზადოს ნიადაგი რუსეთ-ევროპის შესათანხმებლად, რაც როგორც წინადაც ვსწერდით, გარდაუვალია მებრძოლ მხარეთა ნებისყოფის გარეშე.

ფურცლები

15. *)

მუშათა უფლებები

მენშევიკური დემოკრატიის სოციალისტური შეხედულება ჩვენ წინა წერილში („ჩინოვნიკები" და მენშევიკები) დავხატეთ, რომლითაც გავარკვიეთ მენშევიკების დამოკიდებულება საზოგადო და სახელმწიფო უწყებათა მუშა-მოსამსახურეებისადმი. ეს დამოკიდებულება სარკეა ჩვენი მენშევიკური მთავრობის მუშათა პოლიტიკისა, ეს დამოკიდებულება ჩვენ გვიმტკიცებს მთავრობის ბურჟუაზიულ პოლიტიკას და მისწრაფებას.

ერთად ერთი ძალა, რომელიც გააჩნია სახელმწიფო უწყების მოსამსახურეს—არის ფიზიკური ენერგია გონებრივ ენერგიასთან შეზავებული. იგი აქირავებს ამ ძალას, მას არ მოეპოვება არც ერთი სხვა სახსარი ცხოვრებისა, იგი არსებითად ნამდვილი პროლეტარია და მისთვის ამიტომ სრულიად ერთია, ვინ იქირავებს მის შრომას, კერძო კაპიტალისტი თუ საზოგადოებრივი კაპიტალისტი.

კაპიტალისტურ მეურნეობის პირველ ხანაში, როცა პირველობა კერძო კაპიტალისტებს ჰქონდა, მუშებს სჩაგრავდა ინდივიდუალური კაპიტალისტი, დღეს ცხოვრებაში გამოდის კერძო კაპიტალისტის მაგიერ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი და იგი ისევე სჩაგრავს მუშათა კლასს, როგორც სჩაგრავდნენ კერძო კაპიტალისტები. მდგომარეობა არ შეცვლილა. მუშები ებრძოდნენ პირველ მოვლენას და ტრედ-უნიონებით, სინდიკატებით, პროფესიონალური კავშირებით რამდენადმე ალაგმეს კერძო კაპიტალისტები, მაგრამ დღეს კაპიტალიზმი გამოდის კიდევ უფრო დიდი ორგანიზაციის სახით, ვიდრე არის კაპიტალისტური სინდიკატი, კარტელი, ტრესტი და სხვა—გამოდის კაპიტალისტური სახელმწიფო და ის სასტიკად იმორჩილებს მუშათა კლასს.

თანამედროვე სახელმწიფო და ჩვენი სახელმწიფოც არსებითად ვაჭრული და მრეწველური სახელმწიფოა. ესე იგი მუშათა საკითხში უკვე დაინტერესებული მხარე და ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ასეთ სახელმწიფოს მიეწოდოს მუშათა საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა. თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოები ნებსით და უნებლიედ კაპიტალიზმის ინტერესებს იცავენ მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ და ქმნიან მუშებისათვის ისეთ კანონებს, რომელნიც მიუღებელია სოციალისტური დემოკრატიისათვის. ამიტომ მუშათა კანონმდებლობის ინიციატივა, მუშათა კანონების შემუშავება და ყოველივე ნორმის გამოცემა მუშებისათვის უნდა მოხდეს თვით მუშების უმთავრესი მონაწილეობით, მუშების კონტროლით, მუშების დასტურით.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა დაადგა კაპიტალისტურ ტრადიციის გზას, ერთ ხელში მას უპყრავს ალები და სასწორი მეორე ხელში კი შრომის უფლება, მაგრამ რაკი შეუძლებელია კაპიტალისტური ალების და მუშის ინტერესების შეთანხმება, ამიტომ ჩვენი სახელმწიფოც ვერ ახერხებს მუშათა ინტერესების დაცვას.

მთელი ჩვენი კანონმდებლობითი მუშაობა, მთელი ისტორია სატარიფო პალატის, პროფესიონალური კავშირის, ცენტრის და შრომის სამინისტროსი, სადაც გაბატონებულია ისეთი ხალხი, სადაც ათანხმებენ კაპიტალისტურ ალებს და შრომის ინტერესებს, აშკარა დამამტკიცებელია იმისა, რომ ვიდრე ასეთი ნიადაგი და პირობები არსებობს მუშათა საკითხის გადაწყვეტისათვის, მანამდისინ ოცნება იქნება მუშების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუშათა კლასმა ჩვენში ძალიან კარგად იცის თუ რა დიდი მოსაზრებით შექმნეს მენშევიკებმა შრომის სამინისტრო, რომლის სათავეში ჩააყენეს მუშა ერაძე. ნ. ჟორდანია თვით სამინისტროს დაარსებაში ხედავდა სიმბოლოს მუშებისადმი დიდი ყურადღებისა, რომ ჩვენი მთავრობა ამავე დროს მუშათა მთავრობაა და სხვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნ. ჟორდანიას მთავრობა აკეთებდა მხოლოდ ისეთ უბრალო ბურჟუაზიულ საქმეს, რომელსაც ევროპაში კი ხანია ბურჟუაზიული მთავრობები, აკეთებენ უბრალო ბურჟუაზიულ საქმეს, რასაც ევროპის მუშები ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ.

დიად, ძალიან ლამაზი გამოთქმაა „შრომის" სამინისტრო, მაგრამ ეს ლამაზი გამოთქმა რომ ლამაზი გამოხმაურებით თავდებოდეს, აქ რომ ლამაზი და მუშებისათვის სასარგებლო კანონები იბეჭდებოდეს—მაშინ ამ უწყების წინაშე ყველა სოციალისტი მუშა სიამოვნებით მოიხრიდა ქედს. მაგრამ ორი წელიწადია რაც მუშა ერაძე შრომის სამინისტროშია და ამ დიდ რევოლუციის ხანაში, როდესაც ერთის წლის ათი წლის მნიშვნელობა მაინც აქვს თუ მეტი არა, აი ამ ხანაში არც ერთი დიდი, არც ერთი მთავარი საკითხი მუშის სიცოცხლისა და სიკვდილისა—არ არის გარჩეული, მიღებული, განხორციელებული. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენში შრომის სამინისტრო არსებობს კიდევ არ ნიშნავს, რომ შრომის საქმეები კეთდება. ბელგიის მთავრობამ საგანგებოდ შრომის საბჭო დაარსა 1870 წელს ხოლო 1895 წელს მრეწველობის სამინისტროსთან შრომის სამინისტროც, ინგლისმა შრომის ბიურო შექმნა 1887 წელს, ხოლო ჰოლანდიამ 1897 წელში, დანარჩენებშიაც ამგვარივე ნაბიჯები გადადგეს, მაგრამ განა მთავრობის ეს უწყებები შრომის ინტერესების დამცველის როლში გამოდიოდა? ყველგან ეს სამინისტროები შრომის ინტერესების შემფერხებელი, შემზღუდველი, შემამცირებელი იყო და საქართველოში შრომის სამინისტრო მხოლოდ ურმის მეხუთე თვალია და ხელის შეშლის, შეზღუდვის და არსებულ მდგომარეობის გაგრძელების მეტს არაფერს აკეთებს.

პროფესიონალური კავშირების იდეოლოგია და შრომის სამინისტროს მიზანი უნდა იყოს ქვეყნის ყოველი მუშა შემოიკრიბოს თავის გარშემო, რათა ერთი მუშის ხმა იყოს ამავე დროს მთელი ქვეყნის მუშათა ხმა, მაგრამ ჩაიხედოს პატიოსანმა მუშამ ჩვენი ცხოვრების გულში და გვითხრას: რა ზომებს იღებს პროფესიონალური კავშირების ცენტრი და შრომის სამინისტრო ამისათვის? ჩვენ უნდა უპასუხოთ ამ კითხვაზე: მუშათა ინტერესების დაცვის ამ ორგანოებს ასეთ საქმეებისათვის სძინავთ, ხოლო ეს ორგანოები მაშინაც კი არ აპირებენ გამოღვიძებას, როცა სხვა რომელიმე ძალა ან სამინისტრო მუშებს ზურგიდან მოუვლიან და მათ ლახვარს ჩასცემენ. საქართველოს მუშათა ისტორია არ დაივიწყებს ჩვენი სოციალისტური მთავრობის დამოკიდებულებას სოფლის მიწის მუშების პროფესიონალურ კავშირებისადმი. როგორც ვიცით, საქართველოს სახაზინო მამულის მოურავმა—ნოე ხომერიკმა, რომელიც ისეთივე გლეხია როგორი მუშაცაა ერაძე, ბრძანება გამოსცა, რომელიც მავნე მოვლენად აღიარებს სოფლის მუშების ასეთ კავშირებს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ხომერიკი ერაძის ამხანაგია, ერთი სავარძლის ხალხია და რა პასუხი გასცა ერაძემ ხომერიკის ასეთ ბრძანებას მუშათა კავშირების საქმეში? ერაძემ დაიძინა, ყური მოიყრუა, თითქოს მას არაფერი გაუგონია და იმას კი არ ფიქრობს, რომ მისი ძილი იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ცხოვრებამაც დაიძინა, რომ დაძინებულია თვითონ მუშათა კლასი, ერაძის სამინისტრომ ერთი კრინტიც არ დაძრა სოფლის მუშათა კავშირების დასაცავად და ერაძესთან ერთად ასევე დაიძინა ტფილისში არსებულმა პროფესიონალურ კავშირების ცენტრმა, რომელსაც თავის მოვალეობად აღარ მიაჩნია საქართველო პროფესიონალურ კავშირების ქსელით მოფინოს და გააძლიეროს მუშათა კლასის ფრონტი.

ერაძის სამინისტრო მუშებს თავს კი არ უვლის, არსებითად ის ქსაქსავს, სადაც მუშები გაჩნდებიან მათ უყურადღებოთ სტოვებს, თავისუფლად უშვებს მუშების მოწინააღმდეგეთ, მუშათა საზარალო ბრძანებას ივიწყებს, იძინებს, ხოლო ნოე ჟორდანია მოგვახსენებს—მუშათა საქმეს ერაძის ხელში რაღა უჭირსო. აი მკითხველებო, ასე უკუღმართად დატრიალდება მუშათა საქმე მაშინ, როცა სოციალისტურ ლაპარაკში მთავრობა ბურჟუაზიულ საქმეს გააკეთებს, ხოლო თვითონ მუშათა კლასი კი ლამაზ სიტყვებში მოსვენებით დაიძინებს.

იტალიაში, რუმინიაში, ავსტრიაში, ინგლისში დიდი ხანია კანონით ნება დართულია სოფლის პროფესიონალური კავშირები, იქ სოფლის მუშის სამუშაო დრო, ხელფასის მინიმუმი, დაზღვევა და სხვა ჩამოყალიბებულია და რამდენადმე უზრუნველყოფილი, ხოლო ერაძე ხომერიკის სამინისტროსათვის ეს დიდი დარგი შრომის უფლებისა სრულიად არ არსებობს.

აიღეთ მუშათა დაზღვევის საქმე. რა გაკეთდა ამ მხრივ ჩვენში?—ჯერ სრულიად არაფერი. მეფის გერმანიაში მუშათა სახელმწიფოებრივი დაზღვევა შემოღებულია 1885 წლიდან. იქ მისცა სახელმწიფომ მუშებს პირველს წელიწადს 100 მილიონ მარკაზე მეტი, ხოლო ჩვენში—ერაძის ხელში ეს საკითხი თითქოს არ არსებობს მუშებისათვის და ისიც კი არავინ იცის თუ რას ფიქრობს ამ დიდ საგანზე ჩვენი სოციალისტური შრომის სამინისტრო.

მაგრამ ნუ იფიქრებენ მუშა-მკითხველები თითქოს ასე სასტიკად ჩამორჩენილი იყოს ჩვენი შრომის სამინისტრო მუშათა ცხოვრებას. იქ, სადაც მუშის ინტერესების დაცვაა საჭირო ერაძის სამინისტრო არც სცილდება და არც ღვიძავს, მაგრამ როგორც კი კაპიტალისტების ინტერესები მოითხოვენ ჩვენი მუშათა კლასის რაინდს ბ. ერაძეს, მას მყისვე დაეფრთხობა ძილი, მაშინვე გამოღვიძებს და დაუყოვნებლივ გამოსცემს კანონსაც. სამაგალითოდ აიღეთ ცნობილი სატარიფო პალატა. განა აქ დაიძინა ერაძის უწყებამ? არა, ეს პალატა საჩქაროდ მოაწყვეს და იგი მართლაც ენერგიულად მუშაობს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ სატარიფო პალატა სხვაა და შრომის ნამდვილი პალატა კიდევ სხვა. არსებითად ეს პირწავარდნილი შემარიგებელი კამერაა, სადაც მუშების და ხაზეინების მიმდინარე ყველა საკითხი სწყდება და რომლის გადაწყვეტაში კაპიტალისტებს მარტო სათათბირო ხმა კი არ აქვთ, არამედ იმდენივე და ისეთი გადამწყვეტი ხმა, რამდენიც აქვთ მუშებს. მკითხველი კარგათ გაიგებს ვისი იარაღი იქნება ეს პალატა, სადაც საკითხებს ბოლოს და ბოლოს სწყვეტს თავჯდომარე პალატისა მთავრობის დანიშნული კაცი, რომელსაც ერთ ხელში სასწორი აქვს, მეორეში მუშის საქმე და რომელსაც ღვიძავს როცა კაპიტალისტის საქმეა გასაკეთებელი, ხოლო სძინავს როცა მუშის საქმეა წამოყენებული. რა უნდა გააკეთოს ასეთმა პალატამ?—რასაკვირველია ის მუშებისათვის ვერაფერს ვერ აკეთებს, მაგრამ კაპიტალისტებისათვის იგი ყველაფერს აკეთებს.

ასეთი პალატები ყველგან დიდი ხანია არსებობენ ბურჟუაზიულ ევროპაში და როგორც ევროპაში მუშებისათვის ამ პალატებს არაფერი გაუკეთებია, ისე არაფერს აკეთებს იგი ჩვენში. ევროპის მუშები ებრძვიან ამ პალატებს, ხოლო ჩვენი მენშევიკები—მუშები პირჯვარს იწერენ, ხოლო წითელი პროფესიონალური კავშირის ცენტრი დაჩოქილი სდგას მის წინაშე და მთელს საქართველოს მუშებს მოუწოდებს დაიჩოქოს მის წინაშე.

სატარიფო პალატა აწყობს ქირას, სამუშაო დროს, მაგრამ ეს პალატა საზოგადოებას სრულიადაც არ აწვდის იმ ცნობებს საერთოდ ხელფასის მოძრაობისას, სიძვირისას და ვაქხანალიის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების კეთილდღეობისათვის. სატარიფო პალატაში თავისთავად გროვდება მუშათა მოძრაობის დიდძალი მასალა, აქ არის ცნობები მუშათა კლასის ჯოჯოხეთური ცხოვრებისა, მაგრამ ამ მასალებს სწყვეტენ არა მუშათა ინტერესების მიხედვით, არამედ კაპიტალისტურ ალების და სასწორის მიხედვით და თვით მუშათა მასსა რჩება მეტად მძიმე უკუნეთში პირობებში.

შრომის ოფიციალური ორგანოებისათვის სრულიად არ არსებობს წარმოებაში სრულიად საზოგადოებრივი მოტივების გაბატონება, არ არის მუშათა კაპიტალის სისტემა, არ არის მართველობაში და შემოსავალში მონაწილეობა, არ არის ფართოდ დაყენებული სავადმყოფოს მეურნეობა, სალარო, არ არის შემუშავებული დაზღვევის და უბედური შემთხვევებისაგან უზრუნველყოფა. ჩამოთვალეთ თქვენ მუშა ქალთა ცხოვრება, მოხუცების, ინვალიდების, ბავშვების, ჯამაგირების სისტემა, ზედმეტი მუშაობა, უბრალო თავისუფალ მსჯელობის უფლება მუშათა კრებებზე—ერაძის სამინისტროში ყოველივე ეს იოტის ოდენადაც არ არის მოწესრიგებული, ჩვენ ვიმყოფებით შრომის უფლების დარგში პირველყოფილ მდგომარეობაში და თუ რაიმე კეთდება, კეთდება ისე, რაც საჭიროა და სასარგებლოა ჩვენი ბურჟუაზიისათვის, რომელიც არ არის ღირსი ასეთი სამსახურისა და ყურადღებისა.

ჩვენი სახელმწიფოს სურათი საუცხოვოდ აშკარავდება მუშათა უფლების დარგში. აქ არაფერი არ არის სოციალისტური, ნამდვილი დემოკრატიული. ყველა საკითხში სჩანს აშკარა ინტერესები ალების და სასწორის. სიმდიდრე და სიყოჩაღე ბურჟუაზიისათვის და ეს ინტერესები ნთქავენ, ყლაპავენ თვით მუშათა საქმეს.

როდის შეიცვლება ჩვენში ეს მდგომარეობა—არავინ იცის, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ცვლილებებზე ისინი ნაკლებად ზრუნავენ, რომელნიც მუშათა ინტერესებზე ხშირად ლაპარაკობენ, სხედან მუშათა ორგანოებში და მუშათა ხელფასიდან საგრძნობ ჯილდოსაც იღებენ.

თედო ღლონტი.

---

*) ამ სათაურით იბეჭდებოდა ამხ. თედო ღლონტის წერილები მენშევიკების მეფობის დროს გაზ. „სახალხო საქმე"-ში. ხსენებულ რედაქციის მასალების გადათვალიერებისას ეს წერილი აღმოჩნდა, რომლის დაბეჭდვა რედაქციის შეუძლებლად მიუჩნევია. ვბეჭდავთ სრულად უცვლელად. მე 14 წერილი დაბეჭდილია გაზეთში 1920 წლის 11 მაისს, ასე რომ ეს წერილი დამთავრებულია 1920 წლის მაისის შუა რიცხვებში. რედ.

ესერების პროცესი.

მოსკოვი. ივნისის 19. (რადიო გადმოცემულია ძალიან დამახინჯებულად ატმოსფერული ძლიერი მოვლენების გამო). სხდომაზე (გამოტოვებულია).... ბრალდებული იგნატიევი, ცეკას წევრი (გამოტოვებულია)... შრომის ჯგუფისა, თავის ჩვენებას ახასიათებს ესერების (გამოტოვებულია)... შეიარაღებული დაცვის მოწყობაში. შემდეგ ბრალდებული ლაპარაკობს ფარული ოფიცერთა ორგანიზაციაზე, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა ცნობილ „აღორძინების კავშირში", რომელსაც ესერების სამხედრო კომისია შეუთანხმდა საერთო მუშაობის საწარმოებლად. რადგანაც ნაკლებობა იყო ფულისა და კაცის (გამოტოვებულია)..; მოუთხრობს სასამართლოს იგნატიევი. დასმულ იქნა საკითხი მოკავშირეთა სამხედრო დახმარების შესახებ. გაერთიანებულმა სამხედრო ორგანიზაციამ მაინც გადაწყვიტა მიეღო დახმარება ფულითა და ჯარისკაცებით (გამოტოვებულია)... თუ კი მოკავშირენი უარს იტყოდენ ჩარეულიყვნენ შინაურ (გამოტოვებულია).. თუმცა ყველამ წინდაწინ იცოდა, რომ სულ საწინააღმდეგო რამ მოხდებოდა. იგნატიევი შემდეგ ამბობს, რომ მომავალი შეიარაღებული ბრძოლისათვის მოწყობილი იყო (გამოტოვებულია).. იგნატიევი აღნიშნავს, რომ მაშინ ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ეს დაქნილი ორგანო ამოეფარებოდა აჯანყების შირმას. მისი ნამდვილი დამნაშავენი არიან ცენტრალური კომიტეტის (გამოტოვებულია)... მონაწილეობით—სამხედრო კომისიისა და საფრანგეთის ელჩის ნულანსისა. ჩეხო-სლოვაკიის გამოსვლების შემდეგ, საფრანგეთის მისიამ შეიმუშავა (გამოტოვებულია)... ორგანიზაციის გეგმა. ამ გეგმის დამარცხების შემდეგ, საფრანგეთის მისია სხვა საშუალებით გამოვიდა (გამოტოვებულია)... რომელნიც, ყოველგვარად სცდილობდენ უარეყოთ თავისი მონაწილეობა ამ შეთქმულობაში, მაგრამ მოწმესათვის ერთი აზრი გახდა ცხადი (გამოტოვებულია).. ალბერტ ტომა, რომელიც ჩამოვიდა რუსეთში საფრანგეთის მთავრობის დავალებით, ყოველგვარად ეხმარებოდა სხვადასხვა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და სხვათა შორის მისცა მენშევიკებს ჟურნალ „ედინსტვოს" გამოსაცემად მთავრობის ფულები.

მოსკოვი. ივნისის 20. საღამოს სხდომაზე აგრძელებს ჩვენების მიცემას ბრალდებული იგნატიევი, რომელიც აკეთებს ორ დამახასიათებელ განცხადებას. ივანოვის გამოსვლის დროს №-ის დივიზიის შტაბში, იგნატიევის განცხადებით, არ იყო არავითარი რწმენა, რომ ისინი გამარჯვებული დარჩებოდენ. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ისეთ კავშირით, როგორიც ივანოვს ქონდა №-ის დივიზიასთან გამარჯვება მას დარჩენოდა. ამგვარად მთელი მოძრაობის ბერკეტი მოექცეოდა გერმანიის შტაბის ხელში. თავის ჩვენებათა დასასრულში იგნატიევი აჩვენებს მეორე დამახასიათებელ განცხადებას. თავის განცხადებაში იგი ეხებოდა უმთავრესად იმ პირებათა და ჯგუფების პოლიტიკური დახასიათებას, რომელიც უარს ამბობენ მიიღონ თავის

თავზე მორალური პასუხისმგებლობა თავიანთ მოქმედებისათვის, მაგრამ იგი არ ეხებოდა განსაზღვრულ პირთა კონკრეტულ მოქმედებებს. ესერების პარტიის უპასუხისმგებლო მორალური პასუხისმგებლობაზე ივანტიევის სიტყვით დღემდისაც გრძელდება. ტიმოფეევის განცხადება პროცესის დასაწყისში იმის შესახებ, რომ ესერების პარტია წინააღმდეგი იყო ინტერვენციისა, მაჩვენებელია იმისა, რომ ორპირობის და მორალურ უპასუხისმგებლობის ტაქტიკამ დღემდე შეინარჩუნა ძალა ესერების პარტიის რიგებში.

საღამოს სხდომის ყველაზე საინტერესო მომენტი იყო ჩვენება დროებითი მთავრობის ყოფ. სამხედრო მინისტრის ვერხოვსკისა. თავის ჩვენებას ვერხოვსკი იძლევა გაბედული და შეუცვლელი ტონით. მოწმე ჩერდება იმაზე თუ როგორი იყო ოფიცერთა შემადგენლობის განწყობილება ოქტომბრის გადატრიალებამდე და მის შემდეგ, რომელსაც ის ახასიათებს როგორც დიდი სურვილს რუსეთის ჩიხიდან გამოყვანისას, რისთვისაც ოფიცრების დემოკრატიული ნაწილი ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა გერმანიასთან და იმ დაქსაქსვასთან, რომელიც თავს დაატყდა არმიას. ჩვენ მაშინ დარწმუნებული ვიყავით, აცხადებს ვერხოვსკი, რომ არმიის რასკოლშიაც დამნაშავე არიან ბოლშევიკები ამიტომ ჩვენ ვცთვლიდით აუცილებლად გვეწარმოებია ბრძოლა ბოლშევიკებთან და გერმანელებთან ერთსა და იმავე დროს და ამ რიგად დაგვეცვა რუსეთის დამოუკიდებლობა, მხოლოდ გერმანიის რევოლუციისა და სამარაში დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, როდესაც ფრონტიდან მოდიოდენ იქაური ამბების მონაწილენი, ცხადი შეიქნა, რომ რუსეთის დამოუკიდებლობა შერჩენილი უნდა იქნეს სხვაგვარი საშუალებით აქედან გამოტანილი იქნა სათანადო დასკვნები. ვერხოვსკი მოუთხრობს სასამართლოს, რომ შტაბი ეყრდნობა და ესერების პარტიულ იაჩეიკებს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ამასთან ერთად შტაბს არ აინტერესებდა ოფიცრ. პარტიული მისწრაფებები, რომელნიც კომენდატურაში მუშაობდენ; იგი ეყრდნობოდა ყველა იმ ოფიცრებთა ჯგუფებს, რომელნიც მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ გერმანიის საწინააღმდეგოთ.

მისალმება ამხ. ლენინს

მოსკოვი. 20 ივნისი, (რადიო) საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთა თათბირმა მიმართა ცხოველი სალამით ამხ. ლენინს, რომელიც ერთხმად არჩეულ იქმნა თათბირის საპატიო თავმჯდომარეთ.

ჰააგის კონფერენცია

რომი, 19 ივნისი. ამ ახლო ხანში მოელიან რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლას რაკოვსკის, კრესტინსკისა და სოკოლნიკოვის შემადგენლობით.

კონფერენციის სხდომების შეწყვეტა.

ბორდო 19 ივნისი. ორი სხდომის შემდეგ, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი კონფერენციის მუშაობის მსვლელობის ხასიათის შესახებ, კონფერენციის სხდომები დროებით შეწყდა.

უცხოეთი

გერმანია.

გერმანიის ფინანსები.

ნაუენი. 19 ივნისი, (რადიო) გერმანიის სესხის მიღების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტამ ისეთი ძლიერი გავლენა მოახდინა გერმანიის ფულის გადახურდავების ბაზარზე, რომ ფასებმა უნდა აიწიოს სათანადოთ და ამგვარადვე უნდა მომატებულ იქნეს სატარიფო განაწევრიც. მეორეს მხრივ გერმანიაში საბაზრო ფასების სიპატარავე ხელს უწყობს საზღვარ-გარეთულ შეკვეთათა რიცხვის გადიდებას.

გარანტიების კომისია.

ნაუენი. 19 ივნისი, (რადიო). საერთაშორისო საგარანტიო კომისიის მუშაობა დასრულდება ბერლინში ორშაბათს. გერმანიის კაბინეტის თანამონაწილეობით.

იძულებითი სესხი

ბორდო. 19 ივნისი, (რადიო). რეიხსტაგში დაიწყო იძულებითი სესხის პროექტის განხილვა. პროექტი გადაეცა საფინანსო კომისიას.

რეიხსტაგის პრეზიდენტის არჩევნების გამო.

ბორდო. 19 ივნისი, (რადიო) ვირტი პარტიების წარმომადგენლებთან ერთად იხილავს საკითხს სასურსათო კანონის შესახებ და აგრეთვე გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტის მომავალი არჩევის საკითხს. რადგანაც ძალიან გაძლიერდა გერმანიაში მონარქისტული მიმდინარეობა და ამასთან მოახლოვებული, გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტის არჩევნები გერმანიის კომუნისტური პარტიის კომიტეტი მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს გაერთიანებისაკენ კონტრრევოლუციის საწინააღმდეგოთ ბრძოლისათვის.

კილის ნავთსადგურის მექანიკოსების ტეხნიკების გაფიცვა

ბორდო, 19 ივნისი. სტრასბურგიდან იტყობინებიან, რომ კილის ნავთსადგურის წარმოებით მექანიკოსებმა და ტეხნიკებმა გამოაცხადეს გაფიცვა. წარმოების მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ თუ მუშაობა დღესვე არ იქნა განახლებული, გამოცხადებული იქნება ლოკაუტი.

ჰუნგრეთი

ხორტის გადადგომა

ბორდო. 19 ივნისი. ვენიდან იტყობინებიან, რომ ვენგრიის ხორტის პარლამენტში ლიბერალების და სოციალისტების გამოსვლა მიაჩნია თავის პირად დამარცხებათ, ამიტომ იგი გადადგომას აპირებს. ფიქრობენ რომ მის მოადგილეთ იქნება გრ. ბეტლიენი.

საფრანგეთი

მეგობრობა გრძელდება

ბორდო, 19 ივნისი. გაზ. „ტაიმსის“ კორესპონდენტს პარიზში ბაასი ჰქონდა პუანკარეს მეგობართან, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლის-საფრანგეთის შორის აზრთა წინააღმდეგობა, ვერ შეარყევს მათ ურთიერთ დამოკიდებულებას, რომელიც კვლავ მეგობრული დარჩება. პუანკარეს პოლიტიკა ნათელია: იგი დაიბადა ლოტარინგიაში და ამიტომ პუანკარემ განსაკუთრებით კარგათ იცის ის უშიშროება, რომელიც მოულოდნელია აღმოსავლეთიდან. პუანკარეს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ინგლისისთან ერთად იმუშაოს ევროპის აღდგენისთვის.

საფრანგეთ-ისპანიის ხელშეკრულება

ბორდო, 19 ივნისი. მადრიდის გარეშე საქმეთა სამინისტრის ცნობით, საფრანგეთ-იაპანიის ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება მომავალ კვირის ორშაბათს.

ინგლისი

პუანკარეს ლონდონში გამგზავრების გამო

კრაუდენი, 19 ივნისი. ლონდონის ოფიციალური წრეები ამტკიცებენ, რომ პუანკარეს აზრად აქვს ლონდონში ყოფნის დროს აწარმოვოს რაიმე პოლიტიკური მოლაპარაკება, ვერდენის ზეიმის გამო, ის დარჩება ლონდონში სულ 2—3 დღე.

პუანკარეს ლონდონში ჩასვლა

ნაუენი, პარასკევს პუანკარე ჩავიდა ლონდონში მას შეხვდა ლორდი დერბი: „ლიბერტეს“ სიტყვით, პუანკარეს შეხვედრას ლოიდ-ჯორჯთან არ ექნება განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან პუანკარეს თან არ ახლავს არც ერთი ოფიციალური პიროვნება და მას თან არ აქვს დოკუმენტები, მაგრამ ამავე დროს ლონდონის ფინანსიური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ პუანკარეს დარბაზობას.

ინგლისი და ამერიკა

ნაუენი, 19 ივნისი. ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ შემოდგომაზე შეერთებულ შტატებს გადაუხდიან 20 მილ. გირ. სტერლინგს როგორც სამხედრო საჭიროებისათვის აღებულ სესხის პროცენტებს.

ახალი ამბები

— **საზოგადო კრება** ს. ს. რ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა კავშირის გამგეობა აუწყებს კავშირის წევრთ, რომ ა. წ. ივნისის 23 ს პარასკევს, საღამოს 5 საათზე, კავშირის სასადილოში (პლეხანოვის პრ, №83) დანიშნულია კავშირის წევრთა საზოგადო კრება, დღის წესრიგი: ქალაქის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოში დეპუტატების არჩევა.

— **მეღვინეობა.** შაბათს, ივნისის 24, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის ბინაზე მოწვეულია თათბირი შესახებ ღვინით ვაჭრობისა, მისი გატანისა და მეღვინეობის მდგომარეობისა საქართველოში.

— **საქართველოს ყველა კურორტებზე** სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა სამკურნალო სეზონის გასახსნელად ივლისის პირველისათვის. რამდენადაც ფულები საშუალებას იძლევა სწარმოებს კაპიტალური რემონტი სანატორიუმებისა და შეუდგნენ კურორტების სანიტარულ გაწმენდას. სარემონტო მუშაობა მიმდინარეობს წარმატებით და წაღვერში, მაგალითად, თითქმის დასრულებულიცაა. არის იმედი, რომ წაღვერის პირველი სანატორიუმი გაიხსნება ივნისის 25-ს.

კურორტების საჭიროებათათვის დამზადებულია შაქარი, ფქვილი და სხვა პროდუქტები.

მუშაობს მუშა-მოსამსახურეთა შემამოწმებელი კომისია. შემოწმებულია 400 კაცი. ივნისის 25 ავადმყოფნი მზად იქნებიან გასაგზავნად.

კურორტებზედ საექიმო სეზონის გახსნის, დასაჩქარებლად საკურორტო კომისიამ დაადგინა სთხოვოს ფინანსთა სახ. კომის—ას გადაიხადოს ერთდროულათ 700. 000 000 მანეთი, მიღებულია სხვა ზომებიც. გადაწყვეტილია მოაწყონ აბასთუმანში 12 ლოგინი და სადეზინფექციო კამერა.

თფილისის საბჭოთა არჩევნები.

ორშაბათს, 19 ივნისს, ტრამვ ის პარკში დილის 6 საათზე შესდგა თფ. ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა კრება. დღიურ წესრიგში იდგა ერთი საკითხი;—დეპუტატების არჩევა თფ. საბჭოში. მოხსენებით გამოვიდა ამხ. გევორქიანი. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მემარცხ. სოც. ფედერალისტების პარტიის სახელით ამხ. დ. მელაშვილმა, რომელმაც მოუწოდა მუშებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საბჭოს არჩევნებში. არჩეულ იქნა 7 მუშა საბჭოში. დამატებით ამხ. ლენინი.

—

19 ივნისს მეოთხე რაიონის მეტყავეთა კრებაზე არჩეულ იქმნა ტფ. საბჭოში გასაგზავნი დელეგატი. არჩევნების წინ იქმნა გაქეთებული მოხსენებანი და წარმოითქვა სიტყვები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. ილაპარაკეს ამხ. ბურჯანაძემ და სხვ. კომუნისტებმა. მემარცხენე სოც.-ფედ. სარტ. პარტიის სახელით გამოვიდა ამხანაგი ეფ. ჩახუნაშვილი, რომელმაც კრებას გააცნო საბჭოთა ძალა-უფლების სიმტკიცე. როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში, განსაკუთრებით გენუის კონფერენციის შემდეგ, ისე შინაურ ეკონომიურ-პოლიტიკურ აღმშენებლობაში. მეორე საბჭოებში არჩევნების დროს ატმოსფერა რევოლუციის სასარგებლოდ იმდენად გაიწმინდა, რომ მერყევ ელემენტებსაც შეუძლიანთ დაინახონ ეს და მიიღონ აქტიური მონაწილეობა მუშურ გლეხურ სახელმწიფოს აღმშენებლობაში. დაათავა თვისი საარჩევნო მოწოდება ამხ ჩახუნაშვილმა.

—

ამავე დღეს ნაშუადღევის 2 საათზე შესდგა კრება არსენალში—საინჟინრო, საარტილერიო და არსენალის მუშა მოსამსახურეებისა. აქაც ასარჩევი იყო საბჭოს დეპუტატები. მრავალრიცხოვან მუშათა კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გევორქიანი. კომუნისტ ორატორთა შორის სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მემარც. სოც.-ფედერალისტთა პარტიის სახელით დ. მელაშვილი, რომელმაც თავის სიტყვაში მოუწოდა მუშებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საბჭოს არჩევნებში. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიიდან გაყვანილ იქნა საბჭოში ამხ. თ. ლომონტ. და ორი მუშაც უპარტიო, ოთხი ალაგი დაეთმოთ კომუნისტებს.

—

სამშაბათს 20 ივნისს, დილის 8 საათზე რუსთაველის თეატრში შესდგა მბეჭდავი მუშების კრება, დღიურ საკითხათ იდგა ერთი საკითხი—დეპუტატების არჩევა ქალაქის საბჭოში. მოხსენება გააკეთა ხუნდაძემ. საარჩევნო სისტემის შესახებ პატარა სიტყვით გამოვიდა მემარცხენე სოც.-ფედერალისტების პარტიის სახელით მბეჭდავი მუშა დ. მელაშვილი, რომელმაც აღუთქვა მბეჭდავ მუშებს საბჭოში ერთი დეპუტატის მიცემა. კრებაზე პატარა კამათს ალაგი ჰქონდა იმის გამო, რომ მენშევიკ ნათალიშვილმა „ფრთის“ სახელით გამოსთქვა სურვილი არჩევნებში მონაწილეობისა იმ პირობით, თუ არჩევნები „ფარული“ კენჭის ყრით მოხდება, რაიცა კრების მიერ ეს წინადადება უარყოფილი იქნა. მბეჭდავ მუშების კრებამ კომუნისტების გარდა ერთი ალაგი მისცა მემარც. სოც.-ფედერალისტების პარტიას. გაყვანილ იქნა ასოთ-ამწყობი მუშა ამხ. ერასტო ტოროტაძე.

სახალხო კომისართა საბჭოში.

სასურსათო ხარკის ნარჩენი. სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა სასურსათო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა სასურსათო ხარკის ნარჩენის შესახებ. დეკრეტით ვადამდე შეუტანელი სასურსათო ხარკი, გარდა საქართველოს რევკომის და სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით მოხსნილია, გადაირიცხება ნარჩენში, რომელიც გადახდილი უნდა იქმნას: სიმინდი—1923 წ. თებერვლის 1-მდე, დანარჩენი კი მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე. თუ ამ ვადაზედაც არ იქნა დაფარული აღნიშნული ნარჩენი, მაშინ მას დაემატება ყოველ თვიურად ნახევარი პროცენტი.

ჰიდრო ელექტრონული ქარხანა. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ტფ. ჰიდრო ელექტრონული ქარხანა გადაეცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც დაევალა აღნიშნულ ქარხანის მოსაწყობად და მისი საშუალების გამოსანახავათ ზომების მიღება, ქარხნის მთავარ ხელმძღვანელად დაინიშნა ამხ. ალ. ყამარაული.

საგამომძიებლო უბანი. დაკმაყოფილებული იქნა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა—შტატის სამი თანამდებობით გადიდების შესახებ წალკაში საგამომძიებლო უბნის დასაარსებლად.

მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთათვის. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, დაარსებულ იქმნა მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთათვის დახმარების აღმოსაჩენ ფონდის შესაქმნელი კომისია, რომელშიაც არჩეული არიან: ს. ქავთარაძე, სვანიძე, ერქომაიშვილი, მარიამ ორახელაშვილი და ილ. წივწივაძე.

კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ დაუგზავნა ყველა კომისარიატებს განკარგულება კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ, რომლითაც წინადადება ეძლევათ მათ ყოველი ხელშეკრულება, რომელიც წარმოდგენილ იქნება რომელიმე საბჭოთა დაწესებულებისადმი (გარდა საწარმოო დაწესებულებისა), მიუხედავათ იმისა იმყოფება თუ არა ეს უკანასკნელი სახელმწიფო კმაყოფაზე, უნდა წარდგენილ იქმნას სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

სამაზრო აღმასკომების დავალიანება. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, 19 მაისს მოწვეულ იქმნა თათბირი ფინანსთა სახალხო კომისარიატის, პროფესიონალური კავშირების და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებისაგან ამხ. ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დავალიანების შესახებ საკითხის გამოსარკვევად, თათბირმა მოახდინა შემდეგი განაწილება თანხისა აღნიშნულ აღმასკომების დავალიანების დასაფარავად მ. წ. 1 იანვრიდან 1 მაისამდე: ქუთაისის აღმასკომს—2000 მილიონი მანეთი.; რაჭის—500 მილ. ლეჩხუმის—400 მილ. სენაკის—500; ზუგდიდის—500; შორაპნის—60; ოზურგეთის—500; გორის—500; სამხრეთოსეთის—200; ახალციხის—300; ახალქალაქის—300; დუშეთის—500; ბორჩალოს—500; თიანეთის—500; თელავის—500; სიღნაღის—500; ფოთის—200.

აღნიშნული [illegible] [illegible]ბულ უნდა იქნას მხოლოდ ვალების დასაფარავად, რისთვისაც წინადადება ეძლევათ ალმაკომებს ორკვირაში წარუდგინონ საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს დაწვრილებითი საგადასახადო უწყებები. ამ დადგენილების სისწორით შესრულებისათვის, თათბირმა წინადადება მისცა სატარიფო კომისიის თავმჯდომარეს დაუგზავნის სათანადო ცირკულიარები ადგილობრივ პროფბიუროებს, რათა ამ უკანასკნელებმა მიიღონ ზომები უწყებების თავის დროზე წარმოსადგენათ, როგორც დაფარულ, ისე დასაფარავად დარჩენილ დავალიანების გამოსარკვევად.

მონადირეთა კავშირი. საქართველოს მონადირეთა კავშირის ცენტრალური საბჭო შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა დაჩქარებულ იქნას მონადირეობის საქმის მიწად მოქმედების კომისარიატის გამგებლობაში გადაცემა, ვინაიდან დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობა ძლიერ ხელს უშლის ამ მეტად საპატიო დარგის განვითარებას.

ადგილობრივი გადასახადების განყოფილება. ვინაიდან ადგილობრივი ორგანოები ხშირად ცენტრალურ მთავრობის ნება დაურთველად აწესებენ სხვა გადასახადებს, რასაც არევ დარევა შეაქვს საერთოდ რესპუბლიკის ფინანსიურ მდგომარეობაში, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა და წარადგინა სახალხო კომისართა საბჭოში პროექტი დეკრეტისა ფინანსთა კომისარიატთან ადგილობრივ გადასახადების განყოფილების დაარსების შესახებ, რომლის მოვალეობასაც უნდა შეადგენდეს ადგილობრივ ორგანოებსა და ცენტრალურ მთავრობის შორის ფინანსიურ სფეროში კონტაქტის დამყარება, ადგილობრივი ორგანოებისადმი თვალყურის დევნება გადასახადების გაწერის და აკრეფის დროს და მათი ხარჯთ აღრიცხვის განხილვა, რომელიც უნდა წარუდგინოს თავის დასკვნით ფინანსთა სახალხო კომისარს.

თეატრი და ხელოვნება

მოხსენება ქართულ პოეზიაზე, შაბათს ღამეს, ივნისის 17-ს, სომეხ დამშეულთა დამხმარებელ კომიტეტის დარბაზში (სერგეევის ქუჩა № 9) ამხ. ბაშინჯაღიანმა გააკეთა მოხსენება ქართულ პოეზიაზე. ამხ. ბაშინჯაღიანს ამას წინად წაკითხული ჰქონდა იმავე დარბაზში მოხსენება საზოგადოდ ქართულ ლიტერატურაზე, რომლით დაინტერესებულია ამ ბოლო დროებში სომეხი საზოგადოება,—განსაკუთრებით, ინტელიგენცია. ამხ. ბაშინჯაღიანმა მოკლეთ ილაპარაკა და უფრო კარგათ გასაცნობად პოეტის ნიჭთან წაიკითხა კიდეც სომხურათ გადათარგმნილი და, თვით დამსწრეთა თხოვნით, ქართულ ენაზედაც გამოჩენილი პოეტების ლექსები მთლიანათ და ნაწყვეტებათ. მომხსენებელი შეეხო შემდეგ პოეტებს, ბესიკს, ა. ჭავჭავაძეს, გურამიშვილს, თუმანოვს, ე. ორბელიანს, ბარათაშვილს, აკ. წერეთელს, რ. ერისთავს, ი. ჭავჭავაძეს, შაქრაძეს, სკანდაროვს, გივიშვილს, ვაჟა-ფშაველას და ბოლოს დაწვრილებით ილაპარაკა საიათნოვაზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომლის დროს რამდენიმე მსმენელმა ილაპარაკა და შენიშნეს, რომ მომხსენებელს არ ჰქონდა სისტემა, მოუთითეს ნაკლულობაზე, შეავსეს მოხსენება ახალი ცნობებით და გამოსთქვეს სურვილი, რომ სომხის ქართულ ლიტერატურასთან კარგათ გასაცნობად წაკითხულ იქნეს ლექციები სომხურ ენაზე ქართულ ლიტერატურაზე და განსაკუთრებით 40—90 წლების გამოჩენილ პოეტებზე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 700
საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენტ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
ნ. დ. ს. ც.